

პორამორაციული გენეჯმენტის საინჟორნმაციო სისტემის დაპროექტება და რეალიზაცია UML-ტექნიკით

გია სურგულაძე¹, გიგა კოკაია², მაია ნეფარიძე²

1 – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

2 – საპატრიარქოს ქართული უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება კორპორაციული მენეჯმენტის კომპანიებისთვის ისეთი ვებ-სერვეისების შექმნის პროექტის შემუშავება კლიენტ-სერვერული არქიტექტურით, რომელიც ხელს შეწყობს ამ ორგანიზაციის მენეჯმენტის ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის პროცესის სრულყოფას. ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის დაპროექტება ხორციელდება უნიფიცირებული მოდელირების ენის UML ტექნიკით, რეალიზაცია კი - .NET პლატფორმაზე, Qt, Java, PostgreSQL, Php პაკეტების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციული მენეჯმენტი. ვებ-სერვეისები. UML. .NET. Qt., PostgreSQL. Php.

1. შესავალი


თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების და ორგტექნიკის პირობებში, რომლებიც ძალიან სწრაფად ვთარდება, ბიზნეს-კორპორაციებს ემლევათ საშუალება თავიანთი საქმიანობა აწარმოონ ინფორმაციის სწრაფი გაცვლის პირობებში, რაც მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალურია გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ნაშრომში განიხილება კლიენტ-სერვერული არქიტექტურით აგებული ქსელის პირობებში კლიენტ-კორპორაციებისა და სერვერ-კომპანიის „ონლაინ“ ურთიერთთანამშრომლობის საკითხები, საერთო გამოყენების სერვისების მოხმარებისა და მონაცემთა მენეჯმენტის განხორციელების მიზნით.

1.1. კორპორაცია, როგორც მართვის ობიექტი

კორპორაციის სახით განიხილება ორგანიზაციული მართვის დიდი სისტემები, რომლებიც ორიენტირებულია გარკვეული მიზნების შესრულებაზე (პროდუქციის გამოშვება ან მომსახურება), აქვთ დაქვემდებარებული დიდი თუ მცირე ბიზნესის ობიექტები. ყველა მოითხოვს საკუთარი საინფორმაციო სისტემის შექმნას, რომლებიც შემდგომ გაერთიანებულ უნდა იქნას ერთიან კორპორაციულ ქსელში [1].

ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მართვის ობიექტები - კორპორაციები რთული, განაწილებული სისტემებია, რომელთა ტოპოლოგიური სქემა მოიცავს მრავალ განყოფილებას, დეპარტამენტს და ფილიალს, გეგრაფიული ტერიტორიის სხვადასხვა წერტილებში (ნახ.1). ამიტომაც მათი მართვის საინფორმაციო სისტემების დაპროექტება და რეალიზაცია მონაცემთა განაწილებული ბაზებით, მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური ამოცანაა კლიენტ-სერვერული არქიტექტურისა და ვებ-სისტემების გარემოში. ჩვენს შემთხვევაში, კლიენტის მხარეს მოიაზრება ის კორპორაციები, რომლებიც სისტემატურად იყენებენ ვებ-სერვისების კომპანიის მომსახურებას.

ნაშრომში ფურადდება მახვილდება კლიენტ-სერვერული არქიტექტურით აგებული ქსელის პირობებში კლიენტ-კორპორაციებისა და სერვერ-კომპანიის „ონლაინ“ ურთიერთთანამშრომლობის საკითხზე, საერთო გამოყენების სერვისების მოხმარებისა და მონაცემთა მენეჯმენტის განხორციელების მიზნით. პირობითად, სერვერულ-კომპანიას ორი ძირითადი მიმართულება აქვს: დამკვეთის მოთხოვნების საფუძველზე პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა და ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე საკუთარი პროდუქტის შექმნა და რეალიზაცია. ბიზნეს-პროცესების დაგეგმვისა და მართვისთვის კომპანიის მენეჯმენტი აქტიურად იყენებს UML (Unified Modelling Language) მოდელირების უნიფიცირებული ენას ტექნიკით. მონაცემთა ბაზად PostgreSQL ობიექტ-რელაციურ მონაცემთა ბაზას (ORDBMS object-relational database management system), რამდენიმე დაპროგრამების ენას (Php, Java, Qt, Gwt და ა.შ.) და SOAP, XML, Ajax ტექნიკით.



ნახ.1. გლობალური ქსელის ზოგადი ფრაგმენტი რამდენიმე კლიენტ-კორპორაციით

1.2. ამოცანის დასმა

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში მნიშვნელოვანია ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად მიწოდება. ჩვენს დროში, როცა თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომია მობილური ტელეფონი, ინფორმაციის გადაცემის ყველაზე სწრაფ და მოხერხებულ მიწოდების საშუალებად სწორედ იგი წარმოგვედება. კომპიუტერული სისტემების კომპანიის მენეჯმენტმა გადაწყვიტა შეექმნა პროგრამული პროდუქტი, რომელიც კორპორაციულ ორგანიზაციებს (კლიენტებს) საშუალებას მისცემს ავტომატურად დააგზავნოს მოკლე ტექსტური შეტყობინებები (SMS). ასეთი სერვისი დღესდღეობით საჭიროა მრავალი კომპანიისთვის თუ დაწესებულებისთვის, მაგალითად, უნივერსიტეტები, საფინანსო ორგანიზაციები, კერძო კომპანიები, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია თავის მომხმარებლებთან სწრაფი კომუნიკაცია.

შესაქმნელი სერვისი უნდა იყოს:

- მარტივი გამოყენებისთვის, ადვილად აღსაქმელი ინტერფეისით;
- თავსებადი კლიენტებთან, უკვე დანერგილ პროგრამულ უზრუნველყოფასთან;
- სერვისი უნდა ამოწმებდეს ტექსტის და ნომრის კორექტულობას;
- უნდა პქნდეს ბალანსის შემოწმების საშუალება, რომ კონკრეტულ ზღვარზე მისვლის შემდეგ შეატყობინოს ვალდებულ პირს, რომ ბალანსი იწურება, რათა მიიღოს შესაბამისი ზომები და ა.შ.

გარდა ამისა უნდა შეიქმნას ვებ-ინტერფეისი პროდუქტის მომხმარებლისთვის, რომელსაც საშუალება უქნება: გაიაროს ავტორიზაცია, შეამოწმოს ბალანსი, დაათვალიეროს სტატისტიკა და

ნახოს/მოძებნოს გაგზავნილი შეტყობინებები. უზრუნველყოფილ უნდა იქნას ინტეგრაცია მომხმარებელთან არსებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან.


2. ძირითადი ნაწილი

2.1. სერვის-ორიენტირებული ამოცანის შესრულების ბიზნეს-პროცესის აღწერა


კლიენტ-სერვერული არქიტექტურის სისტემების შექმნისას განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს სერვის-ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ვებ-სერვისების მოქნილ და ეფექტურ გამოყენებაზეა გათვლილი. ასეთი სისტემის ან ამოცანების შესამუშავებლად, ჩვენს შემთხვევაში, განვიხილავთ მის ზოგად ფუნქციონალობას, რომელიც ითვალისწინებს როგორც კლიენტ-მომხმარებელთა მოხერხებულ მუშაობას სერვისებთან, ასევე მონაცემთა კონტროლისა და მენეჯმენტის საკითხებს. SOAP ტექნოლოგიით შეტყობინებათა გადაცემა-მიღების ბიზნეს-პროცესი და ბიზნეს-წესები უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგი მიმდევრობის ეტაპებს და პროცედურებს:

1. თავიდანვე უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად სწორადაა ფორმარებული მიღებული ფაილი. თუ არასწორია, კუბრუნებთ შეტყობინებას კლიენტს (ფაილის „სისწორე“ განიხილება შემდეგ);
2. მოწმდება სახელი და პაროლი. თუ არასწორია, ის კუნობება კლიენტს;
3. მიღებული ფაილიდან მიმდევრობით, სათითად იკითხება ნომერი და ტექსტი;
4. თითოეული შეტყობინებისთვის მოწმდება ნომერი. თუ არასწორია, მაშინ სტატუსს ეწერება „შეცდომა ნომერში“;
5. მოწმდება ტექსტი. თუ შეცდომაა, ეთითება სტატუსს „შეცდომა ტექსტში“;
6. მოწმდება კლიენტის ანგარიში. თუ თანხა საკმარისია, მაშინ შეტყობინება იგზავნება შეუფერხებლად. თუ არა - კლიენტს მიეწოდება ინფორმაცია ამის შესახებ;
7. თუ მოთხოვნა-შეტყობინება ბოლომდე გავიდა, პროცესი მთავრდება. თუ არა იგი ბრუნდება მე-3 პუნქტზე.


განხილული ბიზნეს-პროცესების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულ იქნა დასაპროექტებელი სისტემის კლასთა დიაგრამა (ნახ.2), რომელიც მოთხოვნილებათა განსაზღვრის დიანმიკური დიაგრამების: UseCase (ნახ.3), Activity (ნახ.4) და მიმდევრობითობის Sequence დიაგრამის (ნახ.5) საფუძველზე აიგო.




ნახ.2. Class-ების დიაგრამის ფრაგმენტი



ნახ.3. Use Case დიაგრამა



696.4



ნახ.5. Sequence დაგრამა

2.2. რეალიზაციის სადმონისტრაციო ვერსია

კლიენტისგან შეტყობინების მისაღებად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოიყენება SOAP ტექნოლოგია. ამისთვის შექმნილ იქნა sms_service.wsdl ფაილი, სადაც აღწერილია სერვისის პროგრამული ინტერფეისი XML ენაზე და sms_service.php ფაილი - php ენაზე დაწერილი პროგრამა, რომელიც რეალიზებას უკეთს ამ ინტერფეისს.

აქ ხდება მიღებული შეტყობინების ლოგირება, შემოწმება სახელის და პაროლის სისტორეზე, შეცდომის შემთხვევაში შესაბამისი შეტყობინების უკან დაბრუნება. თუ სახელი და პაროლი სწორია, მაშინ ხდება მიღებული შეტყობინებიდან იმ ნაწილის წაკითხვა სადაც ჩაწერილია ნომრები და გასაგზავნი ტექსტები, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს XML ენაზე აღწერილ დოკუმენტს. ამ დოკუმენტიდან მონაცემები წაიკითხება და ჩაიწერება ბაზაში. მიღებული შეტყობინების გაფორმების სისტორის შემოწმება მოხდება ბაზაში მონაცემის ჩაწერისას ამჟავებული ტრიგერის მიერ. მიღებული დოკუმენტი უნდა იყოს გაფორმებული შემდეგნაირად:

```

<?xml version="1.0" encoding="UTF-8"?>
<sms>
<message>
<number> 599123456 </number>
<text> გასაგზავნი ტექსტი </text>
</message>
<message>
<number> 599123456 </number>
<text> მეორე გასაგზავნი ტექსტი </text>
</message>
</sms>
  
```

ბაზაში შეტყობინებათა შესანახად უნდა აიგოს sms -ცხრილი, სტატუსის შესანახად sms_statuses, ისტორიის შესანახად sms_log და კლიენტების სიის შესანახად – sms_senders (ნახ.6).

sms		sms_statuses		sms_senders	
sms_id	PK	status_id	PK	sender_id	PK
sender_id		status_name		name	
to_mob				pass	
mes_text				c_login_name	
ip				send_sms_count	
send_date				with_errors_in_number_count	
status_id				with_errors_in_sms_count	
delive_date				sms_count	
				delived_faile_sms_count	
				register_date	
				status	
				mob	
				phone	

ნახ.6. სისტემის მონაცემთა ბაზის ცხრილების ფრაგმენტი

მომხმარებლებისთვის შექმნილია ვებ-ინტერფეისი, რომლის ავტორიზაციის გვერდი, მაგალითად, არასწორი სახელის და პაროლის შეტანის შემთხვევაში, ასე გამოიყერება (ნახ.7).

ნახ.7

ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემდეგ მომხმარებელს სტატისტიკის ნაწილში შეუძლია დაინახოს ასეთი სურათი (ნახ.8).

SMS MANAGEMENT SYSTEM		სულ მიღებულია 2 და გაგზავნილია 2 მესიური							
		სახელი	სულ სმსები	გაგზავნილია	შეცდომა ტალეფონის ნომერში	შეცდომა ტაქსიტრი	ტექსტის ლამიტი	სტატუსი	შეცდომა გაგზავნისას
Statistics		სატართველოს საპატიოარქეოს წმიდა ანდრია პორველწოდებულის სახელისაბის ქართულ უნიკერსიტეტი	0	0	0	0	100	0	0
SMS		უიზიკა-მათემატიკურ და კომუნიკაციურ მეცნიერებათა სკოლა	2	2	0	0	98	0	0
Parameters		სოფიალურ მეცნიერებათა და სამართლმცოდნების სკოლა	0	0	0	0	100	0	0
Accounts		ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლა	0	0	0	0	100	0	0
Log off		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა	0	0	0	0	100	0	0

ნახ.8

რეალიზებულ სისტემაში ასევე შესაძლებელია გაგზავნილი შეტყობინებების მოძიება და დათვალიერება. მებნა შეიძლება შემდეგი პარამეტრებით: მობილურის ნომერი, გაგზავნის თარიღი (შუალედი) გამგზავნი (ერთ კლიენტს შეიძლება რამდენიმე გამგზავნი ჰყავდეს) და სტატუსი (ნახ.9).

SMS MANAGEMENT SYSTEM


Statistics

Sender:

 Status:


SMS

თანამდებობა 6 მეცნიერობის 1 მეცნიერობის ტექსტში 3 სულ 12


Parameters

№	მოძიეული	გამოგზავნის თარიღი	მიწოდების თარიღი	sms	სტატუსი
1	598778737	2011-07-10 05:30:11.763714		sd fgfdf gsdg	ახალი
2	598778737	2011-07-10 05:30:10.048987		sdf gsdg gsdg	ახალი
3	598778737	2011-07-10 05:30:08.111637	2011-07-10 05:31:26.444289	asdgdsf gsdg	გაგზავნილი
4	598778737	2011-07-10 05:30:05.870092	2011-07-10 05:31:05.370979	sad gsdff	გაგზავნილი
5	598778737	2011-07-10 05:30:04.132166	2011-07-10 05:30:46.191866	asdfsda asdf	გაგზავნილი
6	598778737	2011-07-10 05:25:53.910757			შეცდომა ტექსტში
7	598778737	2011-07-10 05:25:53.910757			შეცდომა ტექსტში
8	598778737	2011-07-10 05:25:53.910757			შეცდომა ტექსტში
9	598778737	2011-07-10 05:25:53.910757	2011-07-10 05:26:25.882616	test	გაგზავნილი
10	598778737	2011-07-10 05:25:53.910757		asdfsda asdf	შეცდომა ნომერში

ნახ.9

მიერაცხოვთ გამგზავნების მიხედვით (ნახ.10).


Accounts

Sender:

 Status:


Log off

თანამდებობა 6 მეცნიერობის 1 მეცნიერობის ტექსტში 3 სულ 12


Log off

№	მოძიეული	გამოგზავნის თარიღი	მიწოდების თარიღი	sms	სტატუსი
1	598778737	2011-07-10 05:30:11.763714		sd fgfdf gsdg	ახალი
2	598778737	2011-07-10 05:30:10.048987		sdf gsdg gsdg	ახალი
3	598778737	2011-07-10 05:30:08.111637	2011-07-10 05:31:26.444289	asdgdsf gsdg	გაგზავნილი
4	598778737	2011-07-10 05:30:05.870092	2011-07-10 05:31:05.370979	sad gsdff	გაგზავნილი
5	598778737	2011-07-10 05:30:04.132166	2011-07-10 05:30:46.191866	asdfsda asdf	გაგზავნილი
6	598778737	2011-07-10 05:25:53.910757			შეცდომა ტექსტში
7	598778737	2011-07-10 05:25:53.910757			შეცდომა ტექსტში
8	598778737	2011-07-10 05:25:53.910757			შეცდომა ტექსტში
9	598778737	2011-07-10 05:25:53.910757	2011-07-10 05:26:25.882616	test	გაგზავნილი
10	598778737	2011-07-10 05:25:53.910757		asdfsda asdf	შეცდომა ნომერში

ნახ.10

მიერაცხოვთ სტატუსის მიხედვით (ნახ.11).

Mobile phone:	<input type="text"/>																								
Date from:	<input type="text"/>																								
Date to:	<input type="text"/>																								
Sender:	All																								
Status:	მეცდომა ტექსტში																								
<input type="button" value="Search"/>																									
მეცდომა ტექსტში 3 სულ 3																									
<table border="1"> <tr> <th>No</th> <th>მობილური</th> <th>გამოვზავნის თარიღი</th> <th>მიწოდების თარიღი</th> <th>sms</th> <th>სტატუსი</th> </tr> <tr> <td>1</td> <td>99978999</td> <td>2011-07-20 05:22:00.000000</td> <td></td> <td>მსჯელი</td> <td>მეცდომა ტექსტში</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>99978999</td> <td>2011-07-20 05:22:05.078987</td> <td></td> <td>ჭირდებული</td> <td>მეცდომა ტექსტში</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>99978999</td> <td>2011-07-20 05:22:17.479780</td> <td></td> <td>ჭირდებული</td> <td>მეცდომა ტექსტში</td> </tr> </table>		No	მობილური	გამოვზავნის თარიღი	მიწოდების თარიღი	sms	სტატუსი	1	99978999	2011-07-20 05:22:00.000000		მსჯელი	მეცდომა ტექსტში	2	99978999	2011-07-20 05:22:05.078987		ჭირდებული	მეცდომა ტექსტში	3	99978999	2011-07-20 05:22:17.479780		ჭირდებული	მეცდომა ტექსტში
No	მობილური	გამოვზავნის თარიღი	მიწოდების თარიღი	sms	სტატუსი																				
1	99978999	2011-07-20 05:22:00.000000		მსჯელი	მეცდომა ტექსტში																				
2	99978999	2011-07-20 05:22:05.078987		ჭირდებული	მეცდომა ტექსტში																				
3	99978999	2011-07-20 05:22:17.479780		ჭირდებული	მეცდომა ტექსტში																				

ნახ.11

სისტემიდან გასვლა (ნახ.12):



ნახ.12

3. დასკვნა

ამგვარად, ბიზნეს-კორპორაციათა მენეჯმენტის სრულყოფის მიზნით სასურველია თანამდეროვე კომპიუტერებისა და ორგენექინიკის, აგრეთვე ვებ-სერვისების პროგრამული ტექნოლოგიების კომპლექსური გამოყენება. ამ მიზნით უნდა შემუშავდეს კორპორაციული მენეჯმენტის სრულყოფის ერთიანი პროექტი და მისი რეალიზაციის გამოყენებითი პროგრამული პაკეტი, რომელიც რეალიზებულ იქნება უნიფიცირებული მოდელირების ენის მეთოდოლოგიის საფუძველზე. კორპორაციული მენეჯმენტის სრულყოფის პროგრამული პაკეტი უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე მონაცემთა უსაფრთხოებისა და დაცვის მოთხოვნებს.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი პროექტი და მისი სადემონსტრაციო ვერსია ასახავს ჩვენ მიერ შემუშავებული კონცეფციის ერთ-ერთი რეალიზაციის მაგალითს.

ლიტერატურა:

1. Booch G., Jacobson I., Rumbaugh J. Unified Modeling Language for Object-Oriented Development. Rational Software Corporation, Santa Clara, 1996.
2. სურგულაძე გ., დოლიძე თ., ყვავაძე ლ. კომპონენტურ-ვიზუალური დაპროგრამება: ინტერფეისების აგება C# და C++ ენებზე. სტუ, თბ., 2006
3. სურგულაძე გ., ბულია ი., თურქია ე. ვებ-აპლიკაციების აგება ASP.NET & C# პაკეტების საფუძველზე. სტუ, თბ., 2006.
4. სურგულაძე გ., კაშიძე მ. ორგანიზაციულ სისტემებში ინფორმაციული რესურსების მართვა. სტუ, თბ., 2009.
5. მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა PostgreSQL. <http://www.postgresql.org>

**DESIGN AND IMPLEMENTATION OF INFORMATION SYSTEM FOR
CORPORATE MANAGEMENT BASED ON UML-TECHNOLOGY**

Surguladze Gia¹, Kokaia Giga², Neparidze Maia²

1 – Georgian Technical University,

2- University of the Patriarchy of Georgia

Summary

The purpose of the task is the development of such web-service creation project with client-server architecture that will support the perfection of the organization management's certain task solution process. The projecting of such software support is implemented through the UML technology and realization on the .NET Platform using Qt, Java, PostgreSQL, php Packages.

**ПРОЕКТИРОВАНИЕ И РЕАЛИЗАЦИЯ ИНФОРМАЦИОННОЙ СИСТЕМЫ
КОРПОРАТИВНОГО МЕНЕДЖМЕНТА НА БАЗЕ UML-ТЕХНОЛОГИИ**

Сургуладзе Г.¹, Кокая Г.², Непаридзе М.²

1 – Грузинский Технический Университет,

2 - Университет им. Андрея Первозванного
при Грузинской Патриархии

Резюме

Рассматриваются вопросы разработки проекта создания веб-сервисов корпоративного менеджмента на основе клиент–серверной архитектуры, который будет способствовать процессу совершенствования оперативных задач управления организацией. Проектирование такого программного обеспечения осуществляется на основе UML технологии, а его экспериментальная реализация - на .NET платформе с использованием пакетов Qt, Java, PostgreSQL и Php.